შინაური საქმეები

№ 27

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

ყოველ-კვირეული გაზეთი

კვირა, 4 სექტემბერი 1911 წელი

შინაარსი: 1) კიდევ ერთმანეთის მხილებისა და გასწორების შესახებ; 2) სინ-მდვილე სახარებისა (დასასრული); 3) იუდას აბები—ქაიხოსრო გელოვანისა; 4) რას გვწერენ? ა) წერილი სოფ. ონოღიიდან (სენაკის მაზრა) მღვდ ევთიმე ვახანიასი—ბ) წერილი სენაკიდამ—ნოქალაქევის ეკლესია—მგზავრისა; კრიტიკული შენიშვნები—ხიმლელისა; წაღმა-უკუღმა—კ. წუთისოფლელისა; ქურდობასთან ბრძოლა—კ. გძელისა.

ყოველ-კვირეული გაზეთ

„შინა საქმეებზე"

ხელს მოწერა მა-ღება წალენკაში, ქ. ქუთაისში (სასურ-თველ—კაზაკოვის შესახვევში № 17). და თბილისში ეკონომიურ სა-ხან ბაზარში, სალოხანაულის შუბის მაღაზიაში. გამოდის ყოველ თვეში ოთხ ნომერი, 32. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მიიღონ ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მანეთი. | ნახ. წლით: 2 მანეთი. | ძველად წლის ბოლომდის 2 მანეთი. | ცალკე 10 შაური.

მიმართ: „ქუთაისი: „შინაური საქმეების" რედაქცია.

განცხადება.

ამა წლის ენკენისთვის 14, დილისათ სა-ათზე, პირველი ტოლის მაცხოვრის ეკ-ლესიის გალავანში მიხდება

საჯარო ვაჭრობა

შესახებ ახალის თლილის ქვის ეკლესიის ამენებისა.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდენ აღნიშნულ დროზე და ივაჭრონ; საჭირო იქმნება ამანათი (ზალოგი) ნაღდი ფულისა, ვაჭრობისას 50 მა-ნეთი და კანტრაკტის შეკვრის დროს ერთი მოოთხედი მთელი ჯამისა.

ეოველივე დაწვრილებითი ცნობების გა-გება შეიძლება ეოველ დროს ადგილო-ბრივ მღვდელთან

კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი
პოლიევკტოს გაგოშიძე.

3—3

კიდევ ერთმანეთის მხილებისა და გასწორების შესახებ.

„შინაური საქმეების“ მეცხრამეტე ნომრის მეთაურ წერილში ჩვენ გამოვსთქვით ის აზრი, რომ სამღვდელოება თვით უნდა ეცადოს თავის შემცოდე წევრების გასწორებას იესო ქრისტეს ცნობილ მცნებაზე დამყარებული, უნდა ცდილობდეს თავის ზნეობრივ გაკლენის სასურველ და შესაფერ წერტილზე დაყენებას და განმტკიცებას. ამასთანავე ვსთხოვდით ეკლესიას: „გამოგვეხმაურეთ ამ საკითხის შესახებ, რომ ყოველ მხრივ გავანათოთ და ცხოვრებაში განვახორციელოთ თქო.“ მას აქეთ ეს მეშვიდე ნომერი გამოდის, ე. ი. გავიდა უკვე შვიდი კვირა და კაცმა ხმა არ გაგვცა; არც ავი გვითხრა და არც კარგი. სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო, ამბობს რუსული ანდაზა, მაგრამ, არა მგონია, აქ თანხმობა იყოს და თუ არის, ამას გამოცხადება უნდა, გამოქვეყნება, რომ აზრი საქმეთ იქცეს, იდეამ ხორცი შეისხას და მოქმედება იწყოს. რა დრომდის უნდა ვიკოჭლოთ ორივე თემოებით? თუ ჩვენ მარილნი ვართ ქვეყნისა, თუ ჩვენ ნათელი ვართ სოფლისა უნდა ვიყოთ ნანდვილათ: არ უნდა ვაერთოლებდეთ სოფელ-ქვეყანას და თუ არა ვართ, მაშ არც სახელს უნდა ვატარებდეთ ასეთს. დღე არ გავა ათი საჩივარი არ შემოვიდეს სამღვდელოებაზე. მერე, ღმერთო ჩემო! რას არ გვიჩივიან? მთვრალობა, მრუშება, ანგარება. შეუფერებელი ქეიფ-ცუნდრუკი სხვა-და-სხვა უცნაურ სარმების გამოკვრა და თანამოცეკვარ მანდილოსნის წაქცევა და ზედ..... და სხვა უცნაური და გაუგონარი ინციდენტები, მაგ სახლის თავზე არღნით ქეიფი, რაც ჯერ არავის უფიქრია დასავლეთ საქართველოში, სადაც სახლების სახურავი ისე დაფენილია, რომ მასზე დგომაც შეუძლებელია, არა თუ არღნით ქეიფი. საჭიროა მეოქი სამღვდელოება თვით მიაქცევდეს უურადღებას ასეთ მახინჯ წევრებს, თვით გაეცხადოს მათ საქციელს და ითხოვდეს მათგან ან გასწორებას, ან ანაფორის გასდას. მართალია ბევრი საჩივარი სიმართლეს მოკლებულია, მაგრამ ბევრი ისეთი საქმეები ხდება, რომლებიც მართებლობის ეურამდის სულაც ვერ ახწევენ და დაუსჯელი რჩებიან. ან რას აკეთებს ეს სასჯელი? განა ახწევს იგი თავის მიზანს, ან მიუხწევია ოდესმე? ვინ გასწორებულა ამით, ვინ გადაკეთებულა უკეთესათ? სასჯელი ადამიანს ამახვილებს, ახელოვნებს მიწიერებაში: თუ წინეთ აშკარათ ჩადიოდა, ახლა ეცდება დამალოს, მოხერხებულად ჩაიდინოს პოროტება, რომ მოწმეები არ დაისწროს. ამას გარდა კანონს ბევრი საძრომი აქვს, ბევრი მიხვეულ-მოხვეული აქვს, სადაც დამნაშავე ადვილათ იმალება.

სამღვდელოება მოწოდებულია ამხილოს ცოდვისათვის, განსწავლოს, შერისხოს, შეკრას და ამ თავის უფლებას თავის საკუთარ წევრზედაც უნდა ხმარობდეს თავსაც უნდა იკურნავდეს ქრისტეს

სიტყვისაებრ: „მკურნალო, განიკურნე პირველად თავი თვისი“! თავის განკურნებაც იმას ჰქვია, რომ ერთი მეორეს ნება არ მივსცეთ რაიმე წოდების შემარცხვენელი და ჩირქწამცხები საქციელის ჩადენისა.

ბლაღოჩინები და მომღვართ მომღვრები ვალდებულნი არიან იზრუნონ შემცოდე წევრის გასწორებისათვის, ეს მათ პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს, მათ სამსახურის დასაბამს და დასასრულს. მაგრამ ჩვენი ბლაღოჩინები და მომღვართ მომღვრები ფორმალისტები არიან. განსაკუთრებით ბლაღოჩინი თლათ გახვეულია მთავრობის ქაღალდებში და თუ კლიროვის უწყებებში ებად აღებული „წესიერად“ ჩასწერა და ეკლესიის საბუთებს ხელი მოაწერა, თავის საქმე შესრულებული ჰგონია და მზათ არის განისვენოს დაფნის ფურცლებზე. ჯერ მაგალითი არ ყოფილა, ბლაღოჩინის რწმუნებულ სამღვდელოების ზნეობრივ და გონებრივ სიფაქიზე-სიმდიდრეზე ეზრუნოს. ის კი არა ზოგიერთი ბლაღოჩინი ეკლესიების დათვალიერებისთვისაც არ იწუხებს თავს, დაიბარებს მნათეს თავის კრუშკა-წიგნით, გამოართმევს შეწერილ გადასახადებს და გაუშვებს შინ. სამღვდელოება რომ ხშირად დაიბაროს, გაამხნეოს, გააფხიზლოს, ამხილოს, გაასწოროს, ურჩიოს, დაარიგოს, ასწავლოს, აგრძნობინოს თავის მოვალეობა — ამისგან ღმერთმა დაიფაროს, ეს თითქო მისი საქმე არ არის, ეს თითქო მას არ ეხება. „უკეთუ თვალი შენი ბნელ არს, ყოველი სხეული შენი ბნელ არს“. თუ ბლაღოჩინი, რომელიც ნათელია და მაგალითი მღვდელთათვის, სამსახურის შესრულების ასეთ მაგალითს იძლევა. რაღას იზმენ მღვდლები. მღვდელი—ერთათვის და ბლაღოჩინი მღვდელთათვის უნდა მაგალითი იყოს. მაგრამ ეს ასე არ სდება სამწუხაროდ, ხშირად ბლაღოჩინი მღვდელზე უფრო დაბლა დგას და უკანასკნელი მისგან მხილებას კიდეც ითაკილებს.

არც მომღვართ მომღვრებს მიუძღვის დიდი სამსახური სამღვდელოების ზნეობრივ გაფაქიზებაში. ისინიც ფორმალურათ და ზერელეთ უყურებენ თავის მოვალეობას: თუ წელიწადში ერთხელ ჩამოიარეს და მღვდლებს აღსარება ათქმევინეს მათაც თავის საქმე სავსებით შესრულებულათ მიაჩნია. არც ისინი იწუხებენ თავს მხილებით, მაშინ როდესაც შემცოდე წევრის გასწორება-მხილება მომღვართ-მომღვრიდან უნდა დაიწყოს, შემდეგ გადავიდეს ბლაღოჩინის ხელში, მერმე საბლაღოჩინო სამღვდელოების კრებაში და უკანასკნელ საეპარქიოში.

ჩვენ არ ვამბობთ, ასეთი წესი ერთბაშად გადაახალისებს სამღვდელოებასთქო. მაგრამ ეჭვი არ გვაქვს, რომ საგრძნობელათ შეამცირებს კი დანაშაულობას, ჩააჰედებს სინიდისში და აგრძნობინებს, რომ იგი თავის არა კეთილ მოქმედებით მარტო თავის თავს, თავის ავტორიტეტს არ ამცირებს, არამედ მთელი წოდებისას. ასე-

თი გრძნობის აღზრდა სამღვდელოებაში კი თავმდებია მისი ზნეობრივი განახლებისა. მაშ ნუ მივაყრუებთ ასე ამ საქმეს. ვეცადოთ მის განხორციელებას ჩვენსავე სასარგებლოთ. დიდი გამჭრიახობა არ უნდა იმის მიხვედრას, რომ ზნეობით ყაქ.-ზ.ა მღვდელი უფრო პატივცემულია მრევლში და უფრო მეტი გავლენა აქვს ..

სინამდვილე სახარებისა.

(დასასრული. *)

მაგრამ ადამიანისათვის საკმარისი არ არის იცოდეს, რომ ღმერთი არსებობ : უნდა იცოდეს ისიც თუ რა თვისებისაა იგი.

როცა ღვთის არსებობაში დარწმუნდა, ფილამარიონმა დაიყენა ასეთი საკითხი: „ვინა ხარ შენ, თუ საქმენი შენნი ასეთნი დიდნი არიან“! ასეთი საკითხი აღელვებდა არა მხოლოდ ფილამარიონს: ყოველ საუკუნეში, ყოველი ხალხები, რაც უნდა განვითარების დაბალ საფეხურზე უნდა მდგარიყვნენ იგინი, სწამდათ რა უმაღლესი არსება, შემოქმედი და მმართველი ქვეყნისა, ყოველთვის ცდილობდენ დაახლოებით ეცნოთ იგი; აღმოსავლეთის ბრძენებს, ძველ საბერძნეთის და რომის ფილოსოფოსებს, ყველას სწყუროდა აეხსნა ფარდა, რომელიც ფარავდა მათგან უცნობ ღმერთს, მაგრამ ყოველივე საცადი ამ საკითხის საკუთარი ძალებით გადაწყვეტაში ამაო რჩებოდა: საჭირო იყო, რომ თვით ღმერთს განეცხადებია თავის თავი ადამიანებისათვის. აი სწორეთ ეს განცხადება შეადგენს სახარების არსებას.

რომ უკეთ შევითვისოთ სახარების მოძღვრება, უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის წარმოდგენები ღმერთზე. ძველ აღთქმაში ღმერთი წარმოდგენილია, როგორც მრისხანე, შურის მაძიებელი, მსჯელი ცოდვისათვის, არა მხოლოდ შემცოდარისა, არამედ მისი უბრალო შვილებისა და შვილთა შვილიშვილებისა. საიქო მისაგებელზე ქვეყანაზე გატარებულ ცხოვრებისათვის ძველი აღთქმის ხალხი თითქმის არც კი ფიქრობდა; მომავალ საუკუნო ცხოვრებაზე მათ არც კი ჰქონდათ სათანადო წარმოდგენა და დარწმუნებული იყვნენ, რომ მისაგებელი ცუდ საქმეთა და კეთილ საქმეთათვის აქვე ამ ქვეყნათ მოხდება, სანამ კაცი ცოცხალია. ამიტომ ყოველი დამოკიდებულება ძველი აღთქმის ადამიანებისა მრისხანე და შურის მაძიებელ (ძველების წარმოდგენით) ღმერთთან დაფუძნებული იყო უმთავრესად შიშზე მის წინაშე და გამოიხატებოდა ამ სიტყვებში: „შეშინოდეს ღვთისა“.

ქრისტემ კი მოგვიტანა კეთილი, სასიხარულო ამბავი, რომ ადამიანი უკვდავია,—რომ ხანმოკლე ქვეყნიური სიცოცხლე მისი არის მხოლოდ მომზადება საუკუნო ცხოვრებისათვის,—რომ ადამიანი მ საგებელს ამ ქვეყნიურ მოქმედებისათვის მიიღებს უკანასკნელ განსჯის დროს,—რომ ყველა ოდესღაც ცხოვრებული ადამიანები აღდგებიან და მათი საქმეებისადაგვარად ზოგნი სასუფევლის დაუსრულებელ ნეტარებაში იქნებიან, ხოლო ზოგნი საუკუნო სატანჯველში,—რომ სასუფევლის დამკვიდრებისათვის საჭიროა ღვთის ნების აღსრულება,—რომ ღმერთი, როგორც უსაზღვრო სიყვარული და სიკეთე, მოითხოვს ჩვენგან სიყვარულს მისდამი და ყოველი ადამიანისადმი,—რომ ჩვენ უნდა მოვეპყრათ ყველას ისთე, როგორც სხვისგან მოვითხოვთ მოპყრობას და სხ.

ერთი სიტყვით იესო ქრისტემ აღმოგვიჩინა ჩვენ ღმერთი სიყვარულისა და სიკეთისა,—ღმერთი, რომელიც ეძიებს გზა-დაბნეულ ცოდვილს, რომ გაასწოროს და შეანანებიოს, ღმერთი, რომელიც უტევებს ცოდვას ყოველ გულწრფელად მონანულს, და სიხარულით ღებულობს შინ დაბრუნებულ მონანულ მეძავ შვილს,—ღმერთი, რომელმაც მხოლოდ ჯვარზე უკანასკნელ აღმომშვინვის დროს შენანე-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 24.

ბული ავაზაკი შეიყვანა სამოთხეში! ქრისტემ გვიქადაგა ჩვენ ღმერთი სიყვარულისა და მოწყალებისა და ჩვენ დამოკიდებულებას მასთან გამოხატავს ორ სიტყვაში: „გიყვარდეს ღმერთი“.

რამოდენ განსხვავებაა ძველი აღთქმის და ახალი აღთქმის ადამიანთა წარმოდგენაში ღმერთზე! იქ შიში, აქ სიყვარული! იქ უნდა თავი შეგეკავებია ცოდვებისაგან შიშისა გამო საშინელი სასჯელისა მრისხანე და შურის მაძიებელ ღვისაგან; აქ კი კეთილი და მოყვარული მამის ნების ასრულებისთვის, რომელიც (მამა) თვით გიყვარს ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა.

მაგრამ ყოველივე ეს საიდუმლოა, რომლის აღმოჩენა ადამიანს საკუთარი ძალებით არ შეეძლო, რაც უნდა ნიჭიერი ყოფილიყო იგი; ამიტომ, რომ ვირწმუნოთ ეს სიტყვები უნდა გავეცნოთ მეტყველის პიროვნებას, უნდა შევიტყოთ: ვინ იყო იესო? შეიძლება თუ არა მისი მხოლოდ კაცად წარმოდგენა? და თუ ის მხოლოდ კაცი არ არის, მაშ ვინ არის იგი?

რომ პირდაპირ უპასუხოთ ამ საკითხზე საჭიროა თავდაპირველათ ვიცოდეთ: მართლა თუ აღსდგა ქრისტე? ზევით უკვე დავამტკიცეთ, რომ ის ჭეშმარიტად აღსდგა. და თუ იგი აღსდგა, თუ იგი საკუთარი უფლებით აღადგენდა მკვდრებს და დაუსწრებლად ჰკურნავდა მომაკვდავ ავათმყოფებს; თუ მის ბრძანებას ემორჩილებოდენ ქარი და ღელვა ზღვისა;—მაშ უნდა მივიღოთ, რომ იგი ზეგარდამოძალით იყო შემოსილი, იდგა გარეშე ბუნების კანონებისა, მეფობდა მათზე და არ ემორჩილებოდა მათ, და ამიტომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ კაცი. თუ, ამასთანავე მთელი მისი ცხოვრება ამტკიცებს, რომ ის იყო უცოდველი; თუ მისი მოსისხარი მტრები, მწიგნობრები და ფარისევლები, იძულებული იყვენ გაჩუმებულიყვენ, როცა იგი საქვეყნოთ შეეკითხა მათ: ვინ თქვენგანი მამხილებს მე ცოდვაშიო?—მაშ სჩანს მას არ შეეძლო ტყუილი ეთქვა.

ამნაირად, რადგან ჩვენ მივიღეთ, რომ მას არ შეეძლო ტყუილი ეთქვა, უნდა მივიღოთ ისიც, რომ იგი არც სცდებოდა, რადგან შეცდომილება არის მოუფიქრებელი, ზერელე გამოძიება ჭეშმარიტებისა, ხოლო ასეთი ზერელეობა არ შეფერის მას.

თუ მას განძრახ ტყუილის თქმა არ შეეძლო, არ შეიძლებოდა როს შემცდარიყო, მაშ რთგორ და ვისგან შეიტყო მან ყოველივე ისე რაც სთქვა?

საიდუმლოებანი, რომელნიც ქრისტემ აუწყა ქვეყნიერებას, არ შეეძლო სცოდნოდა მას, როგორც კაცს. იგი უცხადებდა მათ, როგორც ღვთისგან მოღებულს და ამბობდა: „მომავლინებელი ჩემი ჭეშმარიტ არს, და რაიცა მესმა მისგან, მას ვაუწყებ სოფელსა (ი. თ. 8, მუხ. 26); ხოლო გამოსათხოვარ საუბარში მოციქულებს უთხრა: გრწმენინ ჩემი, რამეთუ მე მამისათანა ვარ და მამა ჩემთანა; უკეთუ არა, გრწმენინ საქმეთა, რომელთა მე ვიქმ. (ი. თ. 14, მუხ. 11).

ამნაირათ იესო ამბობდა, რომ ყოველივე, რასაც იგი ასწავებდა, განუცხადა მას თვით ღმერთმა და, როგორც იგი ღმერთშია, ისე ღმერთი მასშია.

იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტების მოწმეს, შესაძლებელია ან თლათ ვენდოთ ან თლათ არ ვენდოთ; შუა გზის არჩევა შეუძლებელია. მაგრამ, რადგან უცილობელ სიმართლის მექონეს, უცოდველს და ყოვლად შემძლებელს, აღდგომილს და ამაღლებულ იესოს ვერ შევრაცხავთ სიცრუის მოწმეთ, არ შეიძლება შევრაცხოთ მხოლოდ კაცათ, მაშ დაგვრჩენია, ერთად ერთი სახსარი: დავერწმუნოთ მას ყველაფერში უცილობლათ, თუგინდ ამ ყველაფერთაგან ზოგიერთი რამ მიუწვდომელიც იქნეს ადამიანის შეზღუდულ ჭკუისათვის.

იუდას აბები.

აბი,—რომელსაც სპეციალისტ ესკულაპთა რეცეპტით ამზადებენ აფთიაქებში და რომ-

ლის ჩაცლაპვა ადამიანს ძალიან უჭირს, და ეზარება, თუ ყოველთვის ვერა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც დიდათ მარგებელია დაავადებულის ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენისათვის. ხოლო სულ სხვაა, სხვა თვისებისაა ის აბები, რომლებსაც ზოგიერთები სამართლიანად უწოდებენ იუდას აბებს. თუ აფთიაქიდამ მიღებული მწარე აბი, ადამიანის დასნეულებულს ორგანიზმს და ჯანმთელობას რგებს და განმკურნებელ მალამოდ ედება, იუდას გემრიელი აბი ასნეულებს, ხრწნის—რყვნის ადამიანის სულიერ აგებულებების ჯანმრთელობას, მის ზნეობას, სინიდისს, ნამუსს—პატიოსნებას. მაგრამ. მიუხედვილად ყოველივე ამისა, მეცნიერ ესკულაპთა განმკურნებელს აბს უფრო მცირე მუშტარი ჰყავს ჩვენში, ვიდრე ზნეობრივად დამასნეულებელს იუდას აბს. სამწუხაროდ ჩვენდა, არც ერთი საზოგადო საქმე და არც კერძო არ დაიწყება და გათავდება ისე, რომ იუდას აბს უპირატესი ადგილი არ ეკავოს საქმეთა წარმოებაში ჩვენს ზნეობრივად დაავადებულ ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდს როლს თამაშობს იუდას აბი, როდესაც სასამართლოებში სწარმოებს სადავო საქმეები. როგორც მოგეხსენებათ ეხლანდელის სასამართლოს წესდებით მოწმეები და მათი ჩვენება შეადგენს უმთავრესს საფუძველს მსაჯულის განაჩენისას. რაკი ასეთი დიდი ადგილი აქვს მინიჭებული სამართლის გაჩენის პროცესში მოწმეს და მის მიერ მიცემულს ჩვენებას,—რა საკვირველია კანონმდებელი ინსტიტუტი წინასწარ ფრთხილობს მოწმემ არ გადაუხვიოს სიმართლისა და ჭეშმარიტების გზიდამ დაიშველიებს რჯულს. ავალებს მოწმეებს, მიიღოს ფიცი, რომ იგი მსაჯულის წინაშე ყოველივე სიმართლეს აღიარებს. ფიც მიღებულ მოწმეთა ჩვენება კი, სარწმუნო დოკუმენტია მსაჯულისათვის, რომელზედაც უნდა დააფუძნოს თავისი განაჩენი. მაშასადამე მოწმეთა ჩვენება უნდა ვიგულისხმოთ უმთავრეს ელემენტად ჩვენი თანამედროვე მართლმსაჯულების აგებულებისა, მის სწორ მსჯელობისა, სიწმინდისა, სიფაქიზისა,—თუ..... კანონმდებელთა თეორიით რაღა დაფიქრება უნდა, მოწმეთა კრებული გამოწვეულია თემიდის ტაძარში იმ მიზნით, რომ მოსამართლეს მისცენ ფაქტები თავიანთ ჩვენებიდამ სწორის და შეუცდომელის სამართლის გაჩენისა, მომჩივან-მოპასუხეთა შორის. მაგრამ პირნათლად ასრულებს კი მოწმეთა კრებული ერთბამ, ამ თავის სამღვთო მოვალეობას მართლმსაჯულების წინაშე?—რა ბრძანებაა.... ჩვენი სასამართლოების მატიანე მრავალი საყურადღებო ფაქტებით გვიმტკიცებს რომ უმეტესი ნაწილი მოწმეებისა არა თუ შველიან მსაჯულს საქმის სწორა გამოკვლევასა და ახსნაში, პირიქით, აბრკოლებენ, გზას უბნევენ, ღონის ძიებას ართმევენ საქმ-ს სინამდვილით გათვალისწინებისას და სწორის, მიუდგომელის სამართლის გაჩენისას თავიანთ ყალბი ჩვენებებით. დიახ, მოწმეობა ერთ დიდ ჯიბის და კუჭის შემოსავლის მომნიჭებელ თანამდებობად მოინათლა ჩვენს გაუნამუსებულ ზნეობრივ მდგომარეობის ემბაზში. და ამიტომაც გადაუხვია მან ურცხვად ზნეობრივ სიმაღლი[..]ა, სიმართლისა და სიწმინდის გზიდამ. ვინ არ ვიცით ეს: დაიწყება თუ არა რომელიმე საყურადღებო საქმეზე დავა და საჩივარი სასამართლოში, მტყვანი მხარის ერთად-ერთი საზრუნავი საქმე მხოლოდ ის არის, რომ აღნიშნულ საქმეში გაწვეული მოწმეები როგორმე მოისყიდოს, მოიმხროს თავისკენ. მტყუანი მხარე, თუ ნივთიერი მხრით ღონიერია, თუ ბლომად აქვს იუდას სატრფიალო აბები, რასაკვირველია, ადვილად აღწევს თავის მიზანს. გაიმართება მტყუან მხარესა და მოწმეებთა შორის საიდუმლო მოციქულობა და ვაჭრობა, დალალად, რაღა თქმა უნდა, ამგვარ საქმეებში დახელოვნებული „ჟულიკების" აკადემიაში კურს დამთავრებული კაცი დატრიალდება ხოლმე. სინიდისისა და სჯულის უარის მყოფელ და გამყიდველ მოწმეებსაც ხომ ეს უნდათ, ხომ ასეთს შემთხვევაში მათი ჯიბისა და კუჭის შემოდგომა... რამდენ ქანქარათ უნდა გასყიდონ მართალი უფლისა, ეს წინ და წინ აქვს გამონგარიშებული—დასკვნილი. მტყუანი [illegible]რი ხსნის თავის ჯიბის კარს და იღებს იუდას

მომჯადოებელ აბებს,—მეფეს ფულისას ყვითელსა ოქროს, რასაკვირველია ასიგნაციებსაც წუნს არა სდებენ, რომელსაც აღმაფრთოვანებელი სიამოვნებით ღებულობენ სიმართლის აღსადგენათ გამოწვეული მოწმეები... მიიღო მოწმეებმა იუდას აბები და მორჩა და გათავდა საქმე:—გამტყუნდა მართალი, და გამართლდა მტყუანი. ამ შეჩვენებულს იუდას აბს, გარდა იმისა რომ მიმცემსაც და მიმღებსაც ზნეობრივად რყვნის და საზიზღარ პიროვნებად ქმნის, საზოგადოებისათვისაც დიდი ზარალი მოაქვს. მართლმსაჯულება, ეს უწმიდესი კვარცხლბეკი ადამიანთა ზნეობრივად ამაღლებისა, გაწმენდისა განათლებისა, მშვიდად-კეთილად ცხოვრებისა, ველარ მართლ მსაჯულობს, ველარ ახორციელებს თავის დედა იდეალს, ველარ აღწევს თავის წმინდა მიზანს. ბევრი მართალი მტყუნდება, იჩაგრება, ისჯება; მტყუანი მართლდება, იმარჯვებს... ბევრს მართალს ერთმევა თავის ალალი საკუთარი სარჩო-საცხოვრებელი და გადადის კანონიერი ფორმით იუდას აბების გამცემ გაიძვერა კაცების ხელში. მაგრამ, რადა ჩვენ მიერ თქმა უნდა,—ყველა ამაში უცოდველია, როგორც კანონი, მებრვე სამართლის გამჩენი პირი. რა უნდა ქნას კანონმა? რა უნდა ქნას მსაჯულმა? როგორ უნდა გააჩინოს სწორი და მიუდგომელი სამართალი, თუკი მოწმეები სწორად არ აჩვენებენ, არ აუხსნიან საქმის გარემოებას?! კანონი ხომ ქაღალდზე დაწერილი აზრია,—მსაჯული ხომ იგივე კაცია და არა ყოვლის მხედველი, ყოვლის მცოდნელი და შემძლებელი ღმერთი?...

ისკარიოტელმა, როგორც წმიდა სახარება მოგვითხრობს ოცდაათ ვეცხლად გაჰყიდა ძე ღვთისა, მაცხოვარი—მხსნელი კაცობრიობისა; მაგრამ მან მალე შეიგნო ეს თავისი საშინელი შეცდომა: მივიდა ტაძარში ზარცემული და რქვა კაიაფას და სხვათა სინაგოგის ქურუმებს: „ვსცოდე, რამეთუ მივეც სისხლი მართალი“-ო და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილება. წახედულობაში ხომ უმეტესი ნაწილი ჩვენი ხალხისა სახელგანთქმულია, და გვიკვირს რა უშლისთ ხელს, რომ იუდას წაბაძონ სინიდისის გამოღვიძებასა და სინანულშიაც იმ მოწმებმა, რომლებიც თავიანთ სანიდისს, სჯულსა და სამართლის ავტორიტეტს გროშებში ჰყიდიან?.. ეჰ... რაღა ბევრი ვიბაასოთ, ანგარებამ — ვერცხლის მოყვარეობამ, კუჭმა-ჯიბემ ჩაყლაპა სინიდისი, ნამუსი, პატიოსნება. ჩაყლაპა ყოველივე ის ღვთიური ტალანტები, რომლითაც ადამიანი წარმოადგენდა და უნდა წარმოადგენდეს დღესაც ამ ქვეყნად ღვთის მიერ გაჩენილთა შორის ყოვლის მხრით უმაღლესს, უდიდებულესს და უსრულესს არსებას.

რა წამალი მოეპოვება ამ საშინელს სენს ზნეობისაც, რა განკურნავს ამ სინიდისისა და ზნეობის გამხრწნელ კეთრისაგან, ამის გამოძებნა გონების სალაროდამ, ჩვენზედ უფრო გონებით მდიდართათვის მიგვინდვია...

ქაიხოსრო გედევანი.

რას გვწერენ?

ს. ონოდია, (სენაკის მაზრა).

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩემს მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გამოცემაში.

ამ უკანასკნელ ხანებში პოლიციამ ჩვენში ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ მიმართა ერთს ფრიად საუკეთესო ღონისძიებას ქურდობა-ავაზაკობის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად; დაავალა ყველას, თუ ვინმეს ჰყავს გასასყიდი ზროხა ან ხარი, ხბო ან რომელიმე შინაური პირუტყვი, უთუოდ თორმეტი კაცის ფიცითი საბუთი იქონიონ. ვსთქვათ გლეხს ჰყავს გასასყიდი ხბო, უნდა 12 კაცს მოუყაროს თავი ადგილობრივ ეკლესიაში ან სადმე, მოიწვიოს მღვდელი, დაისწროს პოლიციის მოხელე და მიაღებინოს ფიცი, და მიიღოს ფიცის ფურცელი, რომელშიაც იქმნება აღნუსხული მღვდლის მიერ ნიშნეულება პირუტყვისა. ასეთი საბუთი შემოწმებული მღვდლისა და მამასახლისის მიერ უნდა გაყვეს გასაყიდ ხბოს.

არ ვიცი რისთვის და ვისთვის არის მოგონილი ეს? ნუ თუ პოლიციას ჰგონია ჩვენი მოხერხებული ქურდები ამ მახეში გაებმევიან? სრულიადაც არა. ფიცს ეხლა უამისოდაც სხვა თვალით უყურებენ და რამდენადაც ის გაიაფდება, რასაკვირველია, სარწმუნოების მხრით დიდს ვნებას მოუტანს. გამიგონია, ასეთი ფიცის მიღების დროს ხშირად მოყვება კომპლეკტის შესავსებელად ისეთი პირნი, რომელნიც პირუტყვსა და მის ნიშნეულებას კი არა, ვგონებ პატრონსაც ვერ იცნობენ. და ასე ამ რიგად იბღალება სარწმუნოება თუმცაღა ასეთი ფიცი მღვდლის პირად მოვალეობათ ვერ გადიქცევა, მგრამ შორიდამ პოლიცია უსისინებს. რა უფლება აქვს მღვდელს, რომელსაც თქვენ ინახავთ, უარი გიყოს სამსახურზეო. მიუხედავად იმისა, რომ ეხლა სარწმუნოება ათას ნაირ დაბრკოლებას განიცდის ეხლა ამანაც იჩინა თავი.

ურიგო არ იქნება ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მღვდელი ეგთიმე ვასანია.

წერილი სენაკიდან.

ნოქალაქევის ეკლესია.

შემთხვევა მქონდა, გასულ ივლისის თვის 28-ს, დავსწრებოდი მათი მეუფების, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის მობრძანებას ნოქალაქევის (სენაკის მაზრისა) წმ. წმ. ორმოცთა მოწამეთა ეკლესიაში. სწორეთ შუადღე იყო, მათმა მეუფებამ ფეხი შესდგა ეკლესიის კიბის პირველ საფეხურზე; თვალი გადაავლო ფარდაგ-მოგებულ ადგილს, რომელიც უბრალო მომაკვდავის ახირებულ სასაფლაოს მოაგონებდა კაცს, გაიარა რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული ადგილები და შებრძანდა საკურთხეველში. ეს მობრძანება, მათი მეუფებისა, ამ ეკლესიაში პირველი ყოფილიყო და ამიტომ ვერც ნაცნობა ამ სასაფლაოს.

უცხო კაცი წინდაწინვე უნდა გაეცნოს ამ სასაფლაოს, რომ მის წინ მოწიწებით მუხლი მოიყაროს, ვინაიდგან უამისოთ სხვა არა მიიზიდავს-რა მის ყურადღებას ამ ადგილისაკენ.

ამბიონს დაბლა ჩვეულებრივი ლოცვა სრულდებოდა, რომელიც მწყემს-მთავარმა მიაპყრო თვალი საკურთხეველის ცას და მწუხარება გამოეხატა სახეზე. ცაზე აშკარად ეტყობოდა, რომ სახურავიდან ჩამოსულ წვიმას ჩამოერეცხა უძველესი დიდებული მხატვრობა, შეხედულობით, ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, ანგელოზთა კრებულთა შორის მჯდომარისა. ძლივს მოსჩანდა თავ-წაშლილი დიდი ტანი ღვთის-მშობლის ნახატისა, ერთიც მთავარ-ანგელოზისა, აგრეთვე თავ-წაშლილი და სხვა მხატვრობისაც მეტად მკრთალი სახე, რომელთა გამოცნობა საქმის მხოლოდ სპეციალურად მცოდნეს თუ შეუძლია. ამან და სხვა მხრითაც ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობამ, როგორც ეტყობოდა, გული დაუკოდა ჩვენი სიძველის და ისტორიული ნაშთების უზომოდ მოყვარულ მღვდელთ-მთავარს.

სხვა დროსაც ბევრჯერ მომისმენია ჩვენი სასიქადულო მწყემსთ-მთავრის სიტყვა-მოძღვრება, მაგრამ სულ სხვა იყო აქ.—მათი მეუფება გამობრძანდა ამბიონზე სიტყვის სათქმელად არა ჩვეულებრივ მგლოვიარე სახით, სწორეთ იმ გულ-შემატკივარი მამის მდგომარეობით, რომელიც თავს დასტირის ხოლმე საყვარელ შვილს—და თავის, იმ წამის, სულის მდგომარეობა გამოხატა, არა ჩვეულებრივსავე ნაზს, არამედ უფრო ხმა-მაღლად და უფრო აღელვებით წარმოთქმულ სიტყვაში, რაც სამწუხაროდ, მოისმინა მრევლის ძალიან მცირე დამსწრე ნაწილმა.

მოვიყვან ამ სიტყვასაც, რამდენადაც მისი მოგონებით აღდგენა შეიძლება,—მაგრამ სანამ ამას შეუდგებოდე, მსურს გავაცნო მკითხველს ნოქალაქევის ეკლესია, თავის ღირსებანაკლულევანებით, რა სახითაც ის დღეს არსებობს, მხოლოდ ჩვეულებრივი, უბრალო აღწერით-კი.

ნოქალაქევის ეკლესიის ხუროთ-მოძღვრება გვაძლევს ჩვენ თავის თავზე ცნობას, რომ ის მეტად დაშორებული დროის ნაშთი არის,

და ახასიათებს იმ დროის ჩვენი ხალხის უმაღლეს განვითარებითი სარწმუნოებრივ გრძნობას, დიდებულ ხუროთ-მოძღვრებას და განვითარებულ მხატვრულ გემოვნებას, რომლითაც არა ერთი და ორი იმ დროის უფრო დიდი და განვითარებული ხალხიც მოიწონებდა თავს.. გარედან ეკლესიას აქვს ჯვარადინი მოყვანილობა, ორის კარით—დასავლეთით და სამხრეთით; საკურთხეველიც, ჯვარის თავივით არის გამოყვანილი, შიგნით მრგვალი და გარედან ხუთი კედლისგან შემდგარი. დაბალი გუმბათი ამ ეკლესიისა, რომელსაც, მგონია „სიონს“ ეძახიან, მოწმობს დაშორებული დროის ხუროთ-მოძღვრებას.

მთელი ეკლესია, გარედან, თეთრად არის (კირით) შელესილი, რაც, შეიძლება, ახლობელ დროს ეკუთვნოდეს.—გაივლით კარს და თქვენა გგონიათ, რომ პირ-და-პირ ეკლესიაში შედიხართ, მაგრამ არა; კარის შემდეგ, დაახლოვებით სამი ადლის მანძილზე, თქვენ შეეყრებით ისევ მეორე კედელს, სამი დიდი შუა ეკლესიაში შესავალი თაღით: დასავლეთით და ორი პატარა თაღით, სამხრეთით და ჩრდილოეთით, რომლებშიაც მხოლოდ თითო კაცი გაეტევა და ორივეს მხრით გამოდიან კანკელის წინ. ამ ორ-კედელს შუა, როგორც ვსთქვით, სამ არშინიანი სარბენია, რომელიც უვლის ეკლესიას გარშემო (შიგნით) და ჩრდილოეთის მხრით შედის, საკურთხეველზე კარგა მანძილით დაშორებულ, სამსხვერპლოში—იქიდან საკურთხეველში და სამხრეთით სალაროში და იქიდან ისევ საკურთხეველში. შუა ეკლესიიდან მოსჩანს მხოლოდ ერთი აღსავლის კარები და თუ სხვა კარებით გნებავთ მოხვიდეთ საკურთხეველში, ჯერ უნდა გაიაროთ ის გვირაბები, რომლებშიაც თითო კაცი გაეტევა, შეხვიდეთ სამსხვერპლოში, ან სალაროში და აქედან საკურთხეველში. ერთი სიტყვით, ერთი ეკლესია ორი შენობისაგან შესდგება: გარეთა კედლებში სდგას შიგნითა კედლები და ეს კედლები ქვით-კირის ცით და თაღებით არის ერთი-მეორეზე გადაბმულ-გადახლართული. გარეთა კედელი სქელია, მაგრამ შიგნითა—გაშორებით უფრო სქელია; გარეთა კედლებზე სახურავია დაშენებული, ხოლო შიგნითაზე გუმბათი, ქვით-კირის ცით. კედელსა და კედელ შუაც ქვით-კირისავე ცაა გარშემო გაყოლებული, შეხედულობით, $3^1/_2$ ადლის სიმაღლეზე ბალავრიდან. გარედან კედლებზე შეხედავთ საკმაოთ ფართე, საფანჯრეთ დატოვებულ ადგილებს, რომელთაგან სინათლე არც შიგნით ეკლესიაში შედის და არც აღნიშნულ სარბენებში. ესენი ანათებენ ეკლესიის ზემო სართულის მეორე სარბენს, რომელიც, როგორც ადგილობრივმა მღვდელმა გადმოგვცა, ოთახებათ არის დაყოფილი. ზევითა ნაწილის დასათვალიერებლად ახლა ყოველი გზა მოსპობილია. შუა ეკლესიას ანათებს საკურთხევლის ერთი ფანჯარა და უფრო კარები—კედლები შიგნით, დაახლოვებით, $2^1/_2$ ადლის სიმაღლეზე კირით არის შეთეთრებული და მას ზევით კი ყოველგან გამოსჩანს საღებავების ფერები, რაღაც უეჭველად ამტკიცებს, რომ ეკლესიის კედლები დახატული ყოფილა. დასავლეთის მეორე კედლის სისქეზე (სადაც გასავალი თაღია), გვარიანად შენახულა აქეთ-იქით სრული ტანადობით დახატული წმ. ნიკოლოხი და საბა. ამის ზემოთ, ამავე კედელზე, საკურთხევლის მხრით (ამბიონიდან, დასავლეთით მხედველი, პირ-და-პირ შეყურებთ), მკრთალად მოსჩანს თამარ დედოფლის სახე, რომელსაც მარჯვნით—სიმაღლეზე, ნახევარ რგოლივით, ახლავს რავდენიმე სრული ტანის სახეები (მკრთალად), თავზე წმიდანების სხივით და მარცხნითაც ამგვარივე სურათების აჩრდილიღა მოსჩანს. ეს, ალბათ, რაღაც შემთხვევას უნდა მოასწავებდეს თამარის დროიდან, მაგრამ გამოცნობა კი არ შეიძლება. ამავე კედელზე სხვა ნახატების ნაშთებიც არის. ცაზე, როგორც ნათქვამი გვაქვს, ნახატები წვიმას ჩამოურეცხია და ალაგ-ალაგ კირით შელესულობაც ჩამოუნგრევია. — საკურთხევლის კედელზე, პირველს—ქვევითა განყოფილებაში, წმიდანების სურათების ზოგისა თავი, ზოგის ტანი და ზოგისაც ფეხები-ღა მოსჩანდა და ერთ ადგილას, წვეტიანი იარაღით თვალებ-

დათხრილი ნახატია, რომელიც, როგორც იქაურმა მღვდელმა გადმოგვცა, მტრის შემოსევის დროინდელი ნამოქმედარი უნდა იყოს. მეორე, ზევითა განყოფილებაში, გვარიანად მოსჩანს შუაში ქრისტე და იქით-აქეთ ექვს-ექვსი მოციქულები, რომელთაგან ერთი პარ შებრუნებული მიიპარება; ეს ისკარიოტელია. ეს მხატვრობა საიდუმლო სერობას ნიშნავს. ეკლესია, თავის გუმბათითურთ, ყავრით არის დახურული, ისიც ახალი „მოდისებურად", სინის ბასკით, რაც შნოსაც უკარგავს და არც სიმაგრითაა ნაქები. მგზავრი.

შემდეგი იქნება.

კრიტიკული შენიშვნები.*)

(დუტუ მეგრელის მოთხრობანი და ლექსები 1901 წ.)

II.

დუტუ მეგრელის „ნაღვლიანი", „თვალცრემლიანი" პოეზიის საგანია საქართველოს დიდი სიყვარული და „ტანჯულ-დაჩაგრული" ადამიანის სამსახური. ეს დიდი საგნები უფრო მეტად იზიდავს პოეტის დამწუხრებულს გრძნობებს და, როცა იგონებს იმათ, იმის დატანჯულ გულს ამოაქვს მწარე გოდების ხმები:

„ვინც ეძებს მხოლოდ პოეზიას და ხელოვნებას,
ცდილობს მარტოკა თავისს თავის სიამოვნებას,
ვერ მიიზიდავს ჩემი მუზა მას, ნაღველიანი,
მარად აღვსილი მწუხარებით, თვალცრემლიანი,
ჩემ ლექსს მიმართოს, ვინც ეძებს აზრს, გრძნობით გამსჭვალულს,
და სურს, ჩაფიქრდეს, თანაუგრძნოს ტანჯულ-დაჩაგრულს?.."

ვიწრო, უანგარიშო თავ-მოყვარეობა და გაანჩხლებული გულის კაპრიზები როდი იზიდავს პოეტის გულს, როცა იგი საყვარელ საგანს მიმართავს. არა—იგი ცდილობს გულწრფელად, ნამდვილის ანგელოსურის უანგარო სიყვარულით შეხვდეს „საბრალო ქვრივს" საკუთარს დედასაც და დიდი რუსთველის დედასაც:

ორი დედა მყავს ძვირფასი,
ორივე მიყვარს გულითა;
მქონდეს სიცოცხლე ათასი,
მათ ვუძღვნი სიხარულითა.
ერთი—საბრალო ქვრივია,
უდრტოდ დაბერებული;
საცოდავს მალე ეწვია
ტანჯვა-ვაება წყეული!...
მეორე... მაგრამ ვერ ასწერს
მისს ამბავს ჩემი კალამი;
მოელის ახალს რუსთაველს
ბედკრულის ტანჯვა-ვარამით!
ორი დედა მყავს ძვირფასი
ორივე მიყვარს გულითა;
მქონდეს სიცოცხლე ათასი
მათ ვუძღვნი სიხარულითა!..."

ხან გულგახეთქილი პოეტი წარმოიდგენს დაჩაგრულ „მშობელ მხარეს", რომელსაც ბევრი განათლებული შვილი ყავს და გაჭირებული ქვეყნისთვის კი არ ზრუნავენ. პირადი დაკმაყოფილება მხოლოდ გაუხდიათ სატრფიალო საგნათ, ამ ნასწავლთ დავიწყებიათ სუყველაფერი

„...და ვცეკვავთ, ვმღერით, თითქო არ გვქონდეს
სხვა საფიქრალი აღარაფერი!.."

ხან მაინც მკვნესარე საქართველოს მომტირალი ჭირისუფალივით ეკითხება მისი დაცემის მიზეზებს და აიმედებს მას თავისუფლების დაბრუნებით:

„სამშობლოვ, რისთვის შეწუხებულხარ,
რად იგლოვ წარსულს დიდებულ დროსა;
მწარე ნაღველით რად ავსებულხარ,
რად ემსგავსები უსულდგმულოსა?!
ნუ თუ არ იცი, რომ ეს დროც შავი,
ვით წინანდელნი, მალე გაჭრება;
კვლავ გაგიღიმებს ბედის ვარსკვლავი,
კვლავ მოგეცემა თავისუფლება?!"

როცა პოეტი, უნივერსიტეტში კურს დასრულებული, ბრუნდება საქართველოში, შავს ზღვაზე გემის პალუბიდან დაინახავს თვისი მამულის თოვლით დაბურულს მაღალს მთებს,

*) იხ. „შინ. საქმ." № 26.

მოაგონდება საყვარელი მგოსნის ილია ჭავჭავაძის მგზავრის წერილები, სადაც ილიას მგზავრს თვისი სულიერი მდგომარეობა აქვს შვენივრად აღწერილ , ეს ჩვენი ახალგაზდა პოეტიც განიცდის მსგავს მდგომარეობას და სწერს ლექსს, რომელსაც აქვე სრულიად ამოვსწერ:

„ გემი ზღვის ტალღებს აპობს მისცურავს.
ეუახლოვდები თან და თან მამულს
და რად ვარ ასე დაღონებული,
რად ჩვეულებრივ არ ვგრძნობ სიხარულს?
წინად არ იყო კავკასიის ქედს
დაინახავდა თუ არა თვალი,
გული სიამით მიწყებდა. ძგერას
და მიფრთოვნებდა სულს რაღაც ძალი!...
მაშ, ახლა რაა? რა ფიქრებია,
რომ თავს მეხვევა, აზვირთებული,
და ეს მგზავრობა წინანდელთაგან
რით არის ასე განსხვავებული?..
— იმით, რომ მაშინ მხოლოდ დროებით,
უცხო ბუნებას ვერ შეჩვეული,
ვეშურებოდი სამშობლოსაკენ,
ვით მკურნალისკენ, სუსტი, სნეულნი;
დღეს კი მივდივარ იქ სამუდამოდ
და, აი, როცა ვუყურებ იმ მთებს,
ასე მგონია, მათზე დაწერილს,
ცეცხლებრ ანთებულს, ვხედავ ამ სიტყვებს:
„აბა, შენ იცი, როგორც გადიხდი,
სამშობლოს მიმართ მოვალეობას?“
და მეც ბრძოლის წინ, ვით მეომარი,
ვუფიქრდებით ჩემს მოვალეობას!...

ღარიბი, საწყალობელი კაცის ცხოვრება მაინც დატანჯულია. კაცს ვერ იხსნის სიღარიბისაგან სწავლაც კი, იძულებულია ლუკმა პურისთვის განშორდეს სამშობლოს, სხვაგან, უცხო მხარეს იმსახუროს და თვის სატრფო, სათაყვანებელს მამულს შორიდან ეალერსოს და უმღეროს. ძალიან ძნელი ასატანია ასეთი მდგომარეობა მარტოხელი კაცისთვის ნამეტურ და გვესმის პოეტის მწარე გოდება:

„ მაშ ასე ჩემო სამშობლოვ,
უნდა მოგშორდე, ეს არი
და სხვაგან გადავიხვეწო,
მარადის შენთვის მკვნესარი!..“

საკმაოდ ძლიერი ენერგიით გამოთქმული სიტყვებით აქვს გალექსილი „ოლთისის ციხეს“ და „სამშობლოს“, რომლისკენაც პოეტს იზიდავს

„ სამოთხებრ შემკულ ბუნების
გამოუთქმელი შვენიერება...“ და სხვა, რომელთაც აქ არ ამოვსწერ, უადგილობისა გამო.

მხიარულად არის დაწერილი: „მე პატარა ქართველი ვარ...“ და „ჩემს მამულზე უკეთესი სად არი?..“

ნაღვლით და სიმწარით არის სავსე ლექსი: „გზაზე“ — „კვლავ მიქრის ეტლი და მიმაქროლებს სამშობლოსაკენ?— ვაი, რომ არა!.“

საქართველოს შვენიერი, მომხიბლველი და მდიდარი ბუნების ნაცვლად პოეტი გზაში ხედავს „ხრიოკ კლდე ღრეებს, მზისგან გადამწვარს მიდვრებს და გორებს“, გული უკვდება, არც ეძინება, ვერც მოუსვენებია, წვალობს, იტანჯება. სიკვდილი ენატრება,

„ დაე, არ ყოფნამ ყოფნა შესცვალოს,
მოვკვდე დროებით!
დიახ, დროებით,
რადგან სიკვდილი, სამარადისო
მხოლოდ იქ მინდა, სადაც ვშობილვარ..“ და სხ.

პოეტური მწარე ნაღველი, ჩუმი, ჩაწყვდიადებული ნაღველი, შეერთებული იუმორთან ახასიათებს ბევრს ლექსს დუტუ მეგრელიასას, როდესაც იგი ეხება თვის სათაყვანებელს საქართველოს. ეს არის მიზეზი, რომ მისი ცრემლიანი წაკითხვის შემდეგ თქვენც გულმოკლული და მწუხარე ხართ და ამით იზიარებთ ავტორის სულის მდგომარეობას. პოეტი ყოველთვის გულწრფელი, წარბ-შეკრული და სერიოზულ გუნებაზე არის, როცა თვისი მრავალტანჯული მამულის „პრომეთეოსის“ ბედს ითვალისწინებს.. აჰა, მოახლოვდა დროც, როცა საქართველო იღვიძებს,

„ ერთ მიზნისკენ მიისწრაფვის,
ერთის გრძნობით გამსქელული,

თითქო ცეცხლით და მახვილით
ერთ ემბაზში მონათლული...''

დუტუ მეგრელი საგრძნობელ ლექსებს უძღვნის ,,ბრძოლის და მწუხარების მგოსანს'' აკაკის, ,,დიდებით მოსილს მამულიშვილს'' ნიკოლოზ ბარათაშვილს და ,,დიდებულს გმირს'' ილია ჭავჭავაძეს, მოხუცებულს, რომელსაც უგნურ შვილებმა ხელით სიცოცხლე მოუსპეს.

,,... იქ მათგანი მყინვარ-იალბუზისა
ცამდე ასულნი, მიუწდომელნი,
აქ ველნი რიონ-ალაზანისა
სულის და გულის დამატკბობელნი;
იქ ზღვა მრისხანე, მღელვარ-მშფოთავი,
და საშინელი მისი ღრიალი,
აქ-კი ბულბული, ნაზად მსტვინავი,
და ნაკადულის ტკბილი ჩხრიალი!..
აი, ბუნება ჩვენი ქვეყნისა,
როგორც სამოთხე აყვავებულ-ს,
და სახეც შენის (აკაკისა) პოეზიისა
მიებრ შვენიერ და დიდებულის!..''

ხომდელი.

შემდეგი იქნება.

წალმა-უკულმა.*)

იქ ერთი მოხუცი მონაზონი იყო, მეტად პატიოსანი ადამიანი იყო; ღმერთო ნათელი დააყენე მის სულს, როცა მოკვდეს საწყალი. რაც ენა და პირშვა წამლობა ითქმის, ყველაფერი იცოდა ცხონებულის შვილმა, მეც იმასთან მოვიხდა დადგომა და რაც იცოდა, ყველაფერი მასთავლა, მაგის სახელს შემოვევლე. ახლა მეც ამით ვრჩები; აქიმები რომ ვერ არჩენენ, ისინი ჩემთან მოდიან და, ღვთის მოწყალებით, ვისთვისაც ხელი მომიკიდია, ყველა მიმადლის... ახლა, სულ გუშინწინ, გოუშვი ერთი ანგელოზივით ქალი-შვილი. იმისთანა მტერსაც აშოროს ღმერთმა შვილო; ცოცხალი ბლექი ჭირდა; სუყველგან ვარი უთხრეს აქიმებმა, მაგრამ იმდენი ვეცადე, იმდენი შემეწია ღმერთი, რომ ხტუნავდა ისე გოუშვი..." ლიზას მეტის-მეტად იამა სადუხანას სიტყვა და დაიჯერა კიდეც, რომ მას შეეძლო მისი მორჩენა. სადუხანამ დაუწყო ლიზას ექიმობა, რომლით, როგორც ლიზა, ისე კოლიაც მადლიერნი იყვნენ მისი. მხოლოდ ერთი-რამ უსაყვედურა კოლიამ, რომ უცბათ აყიდია ხატი და მოაწვევია მღვდელიც. „ეს არაფელია,—უთხრა მას სადუხანამ,—შენ ჯერ ვერ იცნობ კარგათ სადუხანას და როცა გაიცნობ დაუმადლებ კიდეც. ისეთს თესლს ჩავყრი შენი ლიზიკოს გულში, რომ ხატს მისი საკუთარი ხელით აძევებდეს კარში და მღვდელიც წითელი ბველივით ეჯაერებოდესო".

ერთი თვის ექიმობის შემდეგ, ლიზა ჩინებულათ მოკეთდა, მაგრამ წამალი იმდენათ არ მოქმედებდა მაზე, რამდენად ის რწმენა, რომ სადუხანა ჭეშმარიტი ქრისტიანე ქალი იყო და რაკი მას მიენდო კოლია, დაუჯერებდა კიდეც და მომავალში მათი ცხოვრება დიდებულად დაგვირგვინდებოდა. სადუხანა მეტად ზეციერ ქალად წარმოუდგა ლიზას და კიდეც მიენდო მთელის არსებით. „რა ძალიან შემიყვარდა ის ქალი!—ამბობდა ის თავისთვის,—წებოსავით ხასიათი აქვს დალოცვილს და ენა ხომ მალამო აქვს; მისი სიტყვა, კარგათ აწყობილი ჩანგურივით წვდება გულს..." სადუხანაც გრძნობდა, რომ ლიზას ის ძალზე შეუყვარდა, რის გამო ძალიან თამამად მოდიოდა კოლიას სახლში; არაფლის რიდი არ ჰქონდა და ლიზასაც ის დღე დღედ არ მიაჩნდა, რაც დღესაც მას არ ნახავდა.

ერთს საღამოს ლიზა სასეირნოთ გაიწვია სადუხანამ. კარგა ხანს ატარა აქეთ-იქით და შემდეგ მიიპატიჟა თავის სახლში. აქ მან ლიზას გააცნო ერთი ჩინებული თვალ-ტანადობის ყმაწვილი—ვანო სახტარაძე, რომელსაც თავის ლაპარაკით, საზოგადო საქმეებზე მსჯელობით, საუცხოვო ქცევით და ქრისტიანული რწმენით ძალიან მოაწონა ლიზას თავი. სადუხანა ჩაის მზადებას შეუდგა და ოთახში მარტო ეს ორი ადამიანი მსჯელობდა ლიზას საყვარელ საგნებზე. ვანომ თავის ჩინებული მსჯელობით ისე გაიტაცა და გაართო ლიზა, რომ ის ერთობ კმაყოფილი დარჩა იმ საღა-

*) იხ. „შინ. საქ." № 25.

მოს სეირნობით. ჩაის შემდეგ ლიზა და სადუ-ხანას ვანოც გამოჰყვა, თითქმის სახლამდისაც მიჰყვა ლიზას და ჩინებული კავალრობაც გაუწია. ეს საღამო კარგა ხანს ახსოვდა ლიზას; არც ის კმაყოფილება ავიწყდებოდა, რაც განიცადა მან გონება გაშარლაშინებული ყმაწვილ კაცთან, საზოგადო საქმეებზე მსჯელობაში და ეს საღამოც მისთვის პირველი იყო, რაც ის კოლიას შეუერთდა... ამაში ლიზა მართალი იყო: მისი მდიდარი ბუნება თხოულობდა სულ სხვანაირ ამხანაგს და ამგვარი საამხანაგო ადამიანი კი კოლიას სახლში მას ჯერ არ ენახა. ის ნებით, თუ უნებურად უნდა დაამხანაგებ-დაახლოვებოდა იმ პირებს, რომელთაც კოლიასთან ჰქონდათ განწყობილება; მასთან ერთად ვაჭრობდენ, ქეიფობდენ, სჯიდენ სხვადასხვა ვაჭრულ კითხვებზე და სხ. ერთის სიტყვით როგორც იტყვიან:—კოლიის ყაიდის კაცებთან უნდა გაემართა ამხანაგობა და ესენი კი არავითარი ლირსებით ერთი ბეწვითაც არ აღემატებოდენ თვით კოლიას... ასე თუ ისე განათლებულ-განვითარებულ საზოგადოებას კოლია ეამივით გაურბოდა და, რა თქმა უნდა, არც ლიზას ჰქონდა ადგილი, რომ მათ დაახლოვებოდა, მით უმეტეს, რომ დინჯი ლიზა, თუ არა შემთხვევით, თავს არავის გააცნობდა. სწორედ ეს იყო მიზეზი ლიზას უამხანაგოთ დარჩენისა და ეს იყო მიზეზი იმისაც, რომ კოლიას ძმა ბიჭებმა ის «უხასიათოს» სახელით მონათლეს.

სადუხანამ პირველი რიგის ხვედრი ფული აიღო კოლიასაგან და უთხრა, რომ მას ჯერ კიდევ დიდი შრომა და მოხერხება სჭიროდა, სანამ ლიზას დაბოლავებით მოარჩენდა. «მშობლებს ის ერთობ გოუფუტებიათ უხეირო აღზრდით და თუ გინდა ის საზოგადო ქალი შეიქნეს, თავიდან უნდა დავწყებიო სთავლაო,»—უთხრა მან კოლიას.

— ზოგიერთ ქალებს რომ უყურებ, საუცხოვო ხაზიაკებს, ისე თუ გამიგეშავ იმას ჩემო სადუხანჯან, დაპირებულზე მეტს მოგცემ და დიდი მადლიერიც ვიქნები შენი. სულ უბრალო ქალია, დალუპულის შვილი; არავისი გაცნობა არ ეინტერესება; სტუმრებს მეტად უხასიათოდ უხვდება და ცივად ღებულობს... შენთვის მომინდვია, ჩემო სადუხან, ეს საქმე,—გულ-დანდობით უთხრა კოლიამ.

— მაგის დარდი ნუ გექნება ბატონო კოლია! აბა ცოდო არ არის, მაგისთანა ანგელოზივით ქალი, მაკრე მორცხვი და ზარმაცი იყოს ჩაცმა-დახურვაში? ლიზა, რომ შესაფერად გაზდილი და გავაჯიშებული იყოს, მისი ცალი ქალი მთელს ქალაქში არ იქნება... გუშინ გვეიარეთ ერთად და ყველა იმას კითხულობდა... სირცხვილია, რომ რა ხანია აქ არის და ყურის მეზობლები არ ნაცნობა. სირცხვილია, სირცხვილი, კოლია ნუ მომიკვდება.

— სირცხვილია და მეტი არა? მაგრამ რომ ვერაფელი მოუგონე.

—შენ რას მოუგონებდი! მის დედ-მამას გოუფუტებია და შენ რა შეგეძლო? ეს საქმე მე მომანდეი და ისე გაგიზარდო, ჩემმა მზემ, რომ სულ ბორბალივით ტრიალებდეს შენ წინ.

— რავა თუ მოგანდო? მოგანდევი და გავათავე.

— ჰო, სიტყვაზე ვამბობ, მაგრამ იცი კოლია რა გითხრა: შინ ჯდომით, იმის გაზდას ვერ შეგპირდები; მე ის უნდა ვატარო აქეთ, იქით, საზოგადოებას უნდა გავაცნო, ხანდისხან კავალრებითაც უნდა გავასეირნო... მეტად არ შეიძლება ხასიათის გამოცვლა...

— სწორედ ამას გთხოვ; აბა რისთვის გაძლევ ნაშრომს?

— ამას ცოტა ხარჯებიც სჭირია: ზოგი ფაიტონის, ხილის, კამფეტების...

— ამისთანა ფულები მას თვითონ ექნება ყოველთვის; ეს შენი საზრუნველი არ არის.

— მაშ კარგი; შენ შენს საქმეს მიხედე და ერთი წლის შიგნით, ისე გაგიგეშავ შენს ლიზიკოს, რომ შეხედო და ვერ იცნო, ღუბერნატორის სახში მიბრძანდეთ სავიზიტოთ და იქაც გასახელოს.

— გმადლობ. გმადლობ დაპირებისთვის, ღიმილით უთხრა კოლიამ.

ამის შემდეგ, სადუხანა მესამე დღემდე არ მოსულა ლიზას სანახავად, რისთვისაც ლიზამ ის საყვედურებით აავსო, მაგრამ სადუხანამაც იმართლა თავი, რომ საქმეები შეხვდა და მოტევება ითხოვა.

სადუხანა მეტად მხიარული იყო, ის ჯარასავით ტრიალობდა, თითქო საკუთარს სახლში ყოფილიყო, ხუმრობდა, იცინოდა, აცინებდა და იქცევდა ლიზასაც.

— რას შვრები მონაზონო, რაებს ოხუნჯობ?—ხუმბრობით უთხრა ლიზამ.

— რა ვქნა ჩემო სულის სწორო! ყოვლისფერი აუკრძალე ჩემს თავს და ხუმრობას კიდევ რავა მიწყენს ი დალოცვილი ღმერთი. დრო და დრო ადამიანმა თუ არ გეიცინა, ჯავრით გული გოუსკდება ქვეყნის საცოდაობის ყურებით.

— კი მარა, ხო იცი მანაზონს არ დამშვენდება ასეთი ხუმრობა და კისკისი,—კიდევ სიცილით უთხრა ლიზამ.

— მერე ვისთან ვხუმბრობ ჩემო შვილო? გარეშები ხომ არავინ გვიყურებს? მე ვარ და შენ; აქ რაც ითქმის, ის კარს გარეთ არ გავა... შენ რომ იცოდე რა ხუმრობა-ხუნტრუცი იმართება ხანდისხან მონასტერში! იტყვი, რომ ეს მონასტერი კი არა... მაგრამ მაინც მონაზვნები არიან, ღმერთი სწამთ და სჯული. დილოცა მისი სამართალი და კაცის უძლურება ღმერთს არ გოუკვირდება... ხომ წაგიკითხავს ისტორიაში, რომ ქრისტემ მრუშობაში შემჩნეულ ქალს უთხრა: „მიმატევებია შენთვის ცოდვები, წადი იარე, თავისუფალი ხარ ჩემგანო“—ის რომ ცოდვა იყოს, ღმერთი არც გააჩენდა...

— ოჰ, შენ რას ამბობ სადუხან?—წყენით უთხრა ლიზამ.

არაფერს ჩემო მზეო, მე სულიერი ქალი ვარ; მაგისთანებისგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ამბავს გეუბნები—ამბავს და ამგვარ ამბავს ვინ არ ამბობს? სახარებაშიაც წერია და შენ არ გინდა მეისმინო? ეს ცოდვა არ არის ლიზა, ცოდვა ის არის, რომ ქვეყნის ამბავი არ იცოდე; ვინ რავა იქცევა, იმას არ აკვირდებოდე... ვაი, ვაი, ვაი! შენ რომ იცოდე რა ამბავი ხდება მონასტერში, მერე სულ სხვას იტყვი... არც ასე გეშინოდეს იქნება ამბის გაგონების.—ეს უკანასკნელი სიტყვები ისე ხმადაშვებით და თითქმის ჩურჩულით სთქვა სადუხანამ, რომ თითქო თავზარი ეცემა ამის თქმით და კედლებსაც არ უნდა გააგონოს ეს აზრიო.

— რა უბედურება ხარ? იქ კიდევ რა ღმერთი წყრება?—მწარედ სთქვა ლიზამ.

— ვერ გეტყვი ჩემო შვილო, ვერა; გიგებ, გეწყინება და გაენებს.

— რას მეწყინება! სულაც არ მეწყინება. ვის რავაც უნდა ისე ქნას. თქვი, თავი შევიქციოთ.

— რა გითხრა ჩემო ლიზიკო—რა? იქოური ამბავი ყურს არ გეეგონება. ერთი არ არის და ორი...

— კარგი—კარგი თუ ღმერთი გწამს; მეტს ნუ იტყვი

— აბა რა გეგონა? რაც გინდა გაჭირვება მქონოდა, იქიდან ფეხს არ გავდგამდი, მაგრამ თავი შემძულდა. ამას კიდევ ჩვენი ქალაქი ნაჯობარა მეთქი და ძლივს დავახწიე თავი.

— ვაი ჩემო თავო!

კირილე წუთისოფელი.

შემდეგი იქნება.

ქურდობასთან ბრძოლა.

(თარგმანი).

სიღარიბემ, ლუკმა-პურისათვის მუდამ ზრუნვამ, შეაჩვია ჩვენებური გლეხი სხვის ქონებაში ხელის ფათურსა, ურცხვს და სასტიკს ქურდობას აღარ ერიდება რუსს გლეხი დღითსით მზისითაც კი და ყოველ დღიურ ჰირ-ვარმათაა გადაქცეული იგი. ისე შეეჩვია იგი ამასა, რომ არავის გაუკვირდება თუ ვინმე ღია სახლის კარებში დასტოვებს რაიმე ნივთს და მერმე ერთ საათში მის ასავალ-დასავალსაც ველარ გაიგებს მისი პატრონი, ისე გაიპარვენ. „გლახად ნურსად დააგდებ რამეს, ქურდს გუ-

ლი სტკივა“, ამბობს ანდაზა. ასე ხომ მარტოკა რუსეთშია; გერმანელები და ფინნები ქურდობას ისე უყურებენ, როგორც დიდ რამე ცოდვას; იქ მსხვილის კი არა, წვრილმანის ქურდობისაც ეშინიათ.

ჩვენში მსხალსა და ვაშლსა დაუმწიფებელს გაპარვენ პატრონსა. გერმანიასა და შვეიცარიაში ალუბალსა და სხვა ხილეულებას ხელს ვერავინ ახლებს გზებშიაც კი. ფინლიანდიაში, სადაც არაა რუსის მუშები, გზის პირას თამამად შეუძლია ყველას დასტოვოს ნასადილევს ქურჭელი, ვეცხლი და ფულიანი ქისაც კი სუფრაზე—მოპარვა არ შეიძლება. ლოთობა და ქურდობა ჩვენს ხალხს ღუპავს. ქურდს ბევრი არა ეძინება რა ნაქურდლიდან, რადგან ჩალის ფასად ასაღებს მას და, ვისაც მოჰპარეს, ის კი რამდენიმე წლით სულს ვეღარ იბრუნებს და ექცევა ოჯახი. თუ რა უბედურება მისდევს გლეხს ცხენის ქურდობით,—ამას რა დამტკიცება სჭირია. უკანასკნელად ხმა აიმაღლეს აქა-იქა ქურდობასთან საბრძოლველად. აქამდისაც საჭირო იყო ხელის გამოღება; განა გერმანელებსა, ლატიშელებსა და ფინნებზე ნაკლები ვართ, რომ ვერ ამოვფხვრათ ძირიანფესვიანათ ეს სისაძაგლე?

ქურდობას ჩვენში იწყებენ ბავშობიდანვე,—სხვის ბაღში გადაძრომა, ხილის, კიტრის მოსაწყვეტად.—ბავშვების საქმეა; მშობლებიც არ უშლიან. აი სად მარხია ძაღლის თავი: აქედამ უნდა აეკრძალოთ ბავშვებს ქურდობა. მშობლებს თითონაც კარგად უნდა ესმოდესთ და ბავშვებსაც უნდა ჩააგონონ, რომ მანეთისა და კაპეიკის ქურდი - ქურდია, რომ ქურდობაა ერთი ნაყოფის მოწყვეტა ხეზე ბაღჩიდამ, თუნდაც ერთი კალმის მოპარვა შკოლაში. მშობლებს სინიდისი უნდა ამხილებდეს, რომ შეუგნებელი ბავშვებისაგან ქურდობა მათ დაჰბრალდებათ, რომ ის ყმაწვილი, რომელიც პატარაობისას არ ერიდება ქურდობას, არც დიდობაში გაუძნელდება ეს ხელობა; ჯერ უნდა აეკრძალოს პატარა ბავშვებს ქურდობა,—აქედამ უნდა იწყებოდეს ბრძოლა ქურდობასთან.

როგორც ლოთობასთან საბრძოლველად არსდებიან სხვა და სხვა საზოგადოებანი, ასევე უნდა დაარსდეს ქურდობასთან საბრძოლველად და სხვა და სხვა საზოგადოებანი და დაწეს ბულებანი, ამ საზოგადოებათა ყველა წევრთ უნდა სავალდებულოთ გაიხადონ ფიცის ქვეშ: არ მიითვისონ სხვისი ქონება და ვისაც ძალა შესწევს გავლენა უნდა იხმარონ სიტყვით და დაჯერებით მეზობლებზე.—მრევლში რომ ორი-სამი ათეული მოინახოს ამ კეთილის საქმის მიმბაძველნი, ისიც საკმაოა პირველ შემთხვევაში.

იმდენ უბედურობას ატეხს თავზე საბრალო გლეხს ქურდობა, რომ ბევრი გამოიჩხრეკს ყურიდან ბამბას და გულმოდგინეთ შეუდგება ქურდობასთან ბრძოლას; მხოლოდ დასაწყისია ძნელი—როგორც კი გაიხსნება ასეთი საზოგადოება მრევლში პირველხანებში ცოტა იქნება თუ ბევრი წევრები—ყველა მრევლი თანაბრად შეიგნებს ამ ბოროტების გამთახსირებელ თვისებებს და ერთად აიღებენ ფარ-ხმალს მასთან საბრძოლველად.

დიდ დახმარებას გაუწევს ქურდობასთან საბრძოლველად შკოლა. თვითეულს შკოლელს გულის ფიცარზე უნდა ჰქონდეს აღბეჭდილი, რომ პატიოსანი ადამიანი და ჭეშმარიტი ქრისტიანე მაშინაა იგი, როდესაც ფიცით სდებს აღთქმას უპატრონოთ სხვისი ქონებიდან ერთს ნაფოტსაც არ აიღებს. შკოლელებს უნდა ჩააგონონ, რომ მათი ვალია შინ და გარეთ, ოჯახში, ძმებსა, დებსა, თან-ტოლებსა და მეზობლებს გადასცენ ქურდობისაგან წარმომდგარი ცოდვა, დიდი სირცხვილია უბრალო ნივთის მითვისებაც. ქურდობას იმდენი ზიანი მოაქვს ხალხისათვის, რომ ერთობის დანერგვა საზოგადოებაში, მრევლში ნიშნავს მთელი ერის ეკონომიურად გაუმჯობესობაზე ზრუნვას. ნუ თუ არ აღმოჩნდებიან გულს-მოდგინე მწყემსები, რომელიც აკისრებენ საძირკვლის ჩაგდებას ამ დიდებულის სახალხო საქმისას? განა ცოტაა მრევლში კეთილი და პატიოსანი მრევლთაგანი, რომ დახმარება აღმოუჩინოს მღვდელს ქურდობასთან საბრძოლველი საზოგადოების დაარსებაში?

გ. გძელი.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამომცემელი, **იოსებ ლეჟავა.**

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშაოებს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების დირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშაოებს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო **ლეონიდეს** ნდობით და გვაქვს მათი მეუფეებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (**ВѢДОМОСТИ**) წლიური საბლაღოჩინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „ძმობის“ გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „ᲨᲠᲝᲛᲐ“ დაბა ყვირილაში. ● Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы.